თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №7911233

ნომერი: AR11138029

თარიღი : 22.04.2026

გაცემის თარიღი : 07.05.2026

გაცნობის თარიღი : 11.08.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დაბა წყნეთი, 26 მაისის ქუჩა, N 2;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით გაჩეჩილაძე პ/ნ 01011003292
- წერეთლის 73

ორგანიზაცია:
- შპს "ლუნა 2010" კოდი: 204888817

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 24 ოქტომბრის №7262715 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 22 აპრილს №AR11138029 განცხადებით მომართა დავით გაჩეჩილაძემ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 24 ოქტომბრის №7262715 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 24 ოქტომბრის №7262715 ბრძანებით, №01.20.01.065.067 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. განმცხადებლის განმარტებით აღარ არსებობს 2024 წლის 24 ოქტომბრის №7262715 ბრძანების საფუძველზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელების ინტერესი. აქედან გამომდინარე, ითხოვს მის ძალადაკარგულად გამოცხადებას.

სამსახურის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მათ შორის საპროექტო ტერიტორიის ამსახველი ფოტოსურათებით ირკვევა, რომ 2024 წლის 24 ოქტომბრის №7262715 ბრძანების საფუძელზე, სამშენებლო სამუშაოები განხორციელებული არ არის.

საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: №882026226855, მომზადების თარიღი: 19/03/2026 წ.) თანახმად, №01.20.01.065.067 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ლუნა 2010“ (ს/ნ: 204888817). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B25045590; მომზადების თარიღი: 28/03/2025 წ.), შპს „ლუნა 2010“-ის ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს დავით გაჩეჩილაძე (პ/ნ: 01011003292). შესაბამისად, განმცხადებლის უფლებამოსილება დგინდება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. ამავე მუხლის მე-6 და მე-7 ნაწილების მიხედვით, ძალადაკარგულად გამოცხადება ნიშნავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტას მისი ძალადაკარგულად გამოცხადების დღიდან. ამასთან, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება არ იწვევს ძალადაკარგულად გამოცხადებამდე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას. "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 34–ე მუხლის მე–7 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებულის გარდა არის ნებართვის მფლობელის მოთხოვნა.

ამდენად, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი და სამსახურში დაცული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და ძალადაკარგულად გამოაცხადოს სამსახურის 2024 წლის 24 ოქტომბრის №7262715 ბრძანება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და "ლიცენზიების და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაკმაყოფილდეს დავით გაჩეჩილაძის 2026 წლის 22 აპრილის №AR11138029 განცხადება.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 24 ოქტომბრის №7262715 ბრძანება.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.